www.cse.ge

საინფორმაციო ელექტრონული ჟურნალი

მარტი, 2012 წელი

3

✓ *სოციალური მეწარმეობა საქართველოში*

- ❖ ქართველი სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად
- ❖ ქართული სოციალური საწარმოს წარმატება
- ❖ კონკურსის "ინდივიდუალური კონსულტაციები სოციალური საწარმოებისათვის" გამარჯვებულები

✓ *სოციალური მეწარმეობის საერთაშორისო ამბები*

- ❖ ევროკავშირის ახალი ინიციატივა სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად!
- ❖ სოციალური მეწარმეები მსოფლიო ეკონომიკის ფორუმზე

✓ *საინტერესო ამბები*

- ❖ Skoll-ის ფონდმა სოციალურ მეწარმეობაში 2012 წლის გამარჯვებულები გამოავლინა

სოციალური მეწარმეობა საქართველოში

ქართველი სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად

სოციალური მეწარმეობის კონცეფციის პოპულარიზაციისა და ამ მიმართულების საქართველოში განვითარების პროცესში სტუდენტების აქტიური ჩართვის მიზნით 2012 წელს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდთან და ბრიტანეთის საბჭოსთან თანამშრომლობით, დაიწყო ახალი საინტერესო პროექტის - "სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად" - განხორციელება.

პროექტის მონაწილეა თბილისის 4 უნივერსიტეტი: გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კავკასიის უნივერსიტეტი და ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი.

ამ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობითა და მათი სტუდენტებისთვის დაგეგმილი მთელი რიგი ღონისძიებები მოიცავს: თემატურ სემინარებს, ბას-ტურებს ადგილობრივ სოციალურ საწარმოებში, შიდა საუნივერსიტეტო კონკურსებსა და ერთ უნივერსიტეტთაშორის კონკურსს.

"სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად" პროექტს ერთობლივად ახორციელებენ: "ბრიტანეთის საბჭო", "ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი" და "საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი".

გაცნობით სემინარზე - "სოციალური მეწარმეობის კონცეფცია და მსოფლიო გამოცდილება" - საუბარი იყო სოციალური მეწარმეობის კონცეფციაზე, უცხოეთის ქვეყნებში და საქართველოში ამ მიმართულებით არსებულ გამოცდილებაზე, ხოლო სემინარს უძღვებოდნენ სოციალური მეწარმეობის საკითხის ექსპერტები "საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრიდან" და "ევრაზიის თანამშრომლობის ფონდიდან".

საკონკურსო ჯგუფებისთვის გაიმართა გაცნობითი ტურები (ე.წ. ბას-ტურები), სადაც სტუდენტები ადგილზე გაეცნენ საწარმოთა სოციალურ მიზნებს, საქმიანობას და მუშაობის პროცესში წარმოშობილ პრობლემებს. ვიზიტების დროს უნივერსიტეტის სტუდენტებმა მოინახულეს შემდეგი სოციალური საწარმოები: ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია "ელკანა" - მაღაზია "ბიოველი"; გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში - თბილისი - სოციალური საწარმო "არბო"; ასოციაცია "ანიკას" - მინანქრის სამკაულების საწარმო; "კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის" - ინვალიდებისთვის "ყველგანმავალი" ეტლების საამქრო, რომელიც კავკასიის რეგიონში ერთადერთია. "სოციალურად უმწეოთა თერაპიის კავშირი თემი - ქედელის" არტ-კაფე "ქედელი"; "სათემო კავშირი გულგულას" - სამკერვალო; ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის საწარმო "ისტორიალი"; "ბავშვი და გარემო"; "სასოფლო საკონსულტაციო სამსახური"; "სამცხე-ჯავახეთის დემოკრატ ქალთა საზოგადოება."

ჯგუფების მიერ მომზადებული საუკეთესო მარკეტინგული გეგმები და რეკომენდაციები კონკურსზე დამოუკიდებელი ჟიურის მიერ გამოვლინდა. შიდასაუნივერსიტეტო კონკურსების გამარჯვებული გუნდები წამახალისებელი პრიზებით დაჯილდოვდნენ.

ქართული სოციალური საწარმოს წარმატება

”გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში – თბილისი” (გიფ-თბილისი) ფონდის ბაზაზე 2010 წელს ჩამოყალიბებულ სოციალურ საწარმოში მზადდება ხის სათამაშოები და საბავშვო ავეჯი სამარკო ნიშნით ”არბო”.

სოციალური საწარმო ”არბოს” ფილოსოფიაა საკუთარი წვლილი შეიტანოს მომავალი თაობის ჯანსაღად აღზრდაში.

”არბოს” პროდუქციის განმასხვავებელი ნიშანია, ის რომ იგი არის ეკოლოგიურად უსაფრთხო, მზადდება ხის მაგარი ჯიშებისგან, ზედაპირი დამუშავებულია მაღალი ხარისხისა და უსაფრთხო ზეთით და საღებავებით, რომლებიც არ შეიცავენ მძიმე მეტალებს და შეესაბამებიან სათამაშოს უსაფრთხოების ევროპულ სტანდარტს (EN71), ხოლო ფიზიკური დაზიანების თავიდან ასაცილებლად ნაწარმს გლუვი ზედაპირი და დამუშავებული წახნაგები აქვს, საწარმოში ყველა ქმედება მიმართულია, რათა უზრუნველყოფილი იყოს ბავშვის ჯანმრთელობის უსაფრთხოება.

პირველ ეტაპზე საწარმოში რეალიზაციისათვის დაიწყო 3 დასახელების პროდუქტის სერიული დამზადება. ამ ეტაპზე კი წარმოებული პროდუქცია ბევრად უფრო მრავალფეროვანია, მზადდება სხვადასხვა სახის საბავშვო სათამაშოები, კერძოდ: ხის ფერადი კუბურები, სხვადასხვა სახის ფაზლები, ხის სამშენებლო ბლოკები, ყირამალა, ბზრიალა, ლეონარდოს ხიდი. ეს სათამაშოები ავითარებს აბსტრაქტულ აზროვნებას, წარმოსახვას, თვალის კოორდინაციას, ფორმის და ფერის შეგრძნებას, მოტორულ უნარებსა და კონცენტრაციას. ასევე საწარმოში მზადდება ბავშვის საწოლები, ბაღის სკამები, ბავშვის ოთახები. სულ ამ ეტაპზე 14 დასახელების სხვადასხვა სახის პროდუქცია იწარმოება, რომელსაც ამჟამად 7 ადამიანი ქმნის.

საწყის ეტაპზე პროდუქციის ძირითადი რეალიზება ხდებოდა სხვადასხვა სავაჭრო ქსელებში. ამ ეტაპზე გაიზარდა კერძო დაკვეთებიც, კერძოდ, იმატა შეკვეთებმა და გაჩნდა მოთხოვნა ეკოლოგიურად უსაფრთხო საბავშვო ოთახის ავეჯზე. ”არბოს” ეკოლოგიურად სუფთა ხის სათამაშოების უალტერნატივობამ განაპირობა, რომ მერიასთან არსებულ საბავშვო ბაღების სააგენტოსთან შედგა თანამშრომლობა. აქვე დავსძენთ რომ ამ ეტაპზე ”არბო” თბილისისა და რაიონში არსებულ 21 საბავშვო ბაღთან

თანამშრომლობს. საბავშვო ბაღების მოთხოვნით სოციალურმა საწარმომ ახალი პროდუქციის გამოშვებაც დაიწყო. ესენია: სამშენებლო ბლოკები 125 ელემენტით (სხვადასხვა ზომის და ფორმის ფიგურებით: "აგურები", ტრაპეციები, ხიდები, ცილინდრები, ბრტყელი ფირფიტები, და სხვა), რომელიც ყველაზე დიდი მოთხოვნით სარგებლობს; "ოჩოფეხები"; კეგლი ემოციებით; სწრაფხვეულა; "ყირამალა" - წონასწორობის გრძნობის გასავარჯიშებლად. ასევე, ბაღის წარმომადგენელთა მოთხოვნით მზადდება სპეციალური სკამები ხერხემლის გამრუდების მქონე ბავშვებისთვის.

2012 წლიდან საწარმოს ტერიტორიაზე ჩატარდება ტრენინგ-კურსები დელინქვენტური ქცევის ბავშვებისთვის, ახალგაზრდა პრობაციონერებისა და განრიდებულებისთვის, კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვებისა და მოზარდების სოციალურ რეაბილიტაციასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათ სრულფასოვან ჩართვის მიზნით.

კონკურსის "ინდივიდუალური კონსულტაციები სოციალური საწარმოებისათვის"

გამარჯვებულები

ჩვენი ჟურნალის მუდმივი მკითხველისათვის უკვე ცნობილია, რომ 2011 წლიდან სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი საზოგადოებრივ ორგანიზაციებში სოციალური მეწარმეობის დამკვიდრებისა და განვითარების მიზნით, ორგანიზაციებს რეგულარულად სთავაზობს საკონსულტაციო მომსახურების საკითხზე კონკურსებში მონაწილეობას.

საკონსულტაციო მომსახურებით დაინტერესებულ ორგანიზაციებს "ცენტრი" უწევს ინდივიდუალურ საჭიროებაზე მორგებულ კონსულტაციებს სოციალური საწარმოს დაგეგმვის, ორგანიზების, მარკეტინგულ, ფინანსურ და საგადასახადო საკითხებზე.

2012 წლის იანვარ-თებერვლის პერიოდში გამართულ მორიგ კონკურსზე მონაწილეობდა 19 საზოგადოებრივი ორგანიზაცია. შერჩევისას უპირატესობა მიენიჭათ ორგანიზაციებს, რომელთაც მკაფიოდ ჰქონდათ აღწერილი საწარმოს სოციალური სარგებელი; ორგანიზაციის პოტენციალი გაეუმჯობესოს და განავითაროს საწარმო; ნათლად იყო განსაზღვრული საწარმოს საქმიანობაში არსებული გამოწვევები და საკითხები, რაზეც ორგანიზაციას სურდა მიეღო კონსულტაციები.

2012 წელს საკონნსულტაციო მომსახურება გაეწევა კონკურსზე შერჩეულ ხუთ ორგანიზაციას, კერძოდ ესენია: ასოციაცია "ბეთლემი", კავშირი "მშობელთა ხიდი", "აფხაზინტერკონტი", ასოციაცია "ანიკა", ქალთა კავშირი "რეა".

სოციალური მეწარმეობის საერთაშორისო ამბები

ევროკავშირის ახალი ინიციატივა სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად!

გასული ორი დეკადის განმავლობაში სოციალურმა მეწარმეებმა განავითარეს ბევრი ინოვაციური მოდელი, რითაც საზოგადოების უღარიბეს ფენას უზრუნველყოფდნენ როგორც ფინანსური მხარდაჭერით, ისე სასმელი წყლით, გათბობით, განათლებით და სამუშაო ადგილების შექმნით. დღეისათვის სოციალური ბიზნესი ევროპული ბიზნესის დაახლოებით 10%-ს შეადგენს და 11 მილიონზე მეტ სამუშაო ადგილს ქმნის. თუმცა აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს პოლიტიკურ რეფორმებზე და მოხდეს სისტემური ცვლილებები.

ევროპულმა კომისიამ გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი სოციალური მეწარმეობისა და სოციალური ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს შესაქმნელად ევროკავშირში. *2011 წლის 18 ნოემბერს ბრიუსელში საფუძველი ჩაეყარა სოციალური ბიზნესის ინიციატივას* (Social Business Initiative). კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა ევროკომისიის პრეზიდენტი ხოსე მანუელ ბაროსო, რომელმაც აღნიშნა, რომ სოციალური საწარმოების როლი არა მხოლოდ ხალხის ჩართვა და შემოსავლების სამართლიანი განაწილებაა, არამედ ისინი აგრეთვე ქმნიან სამუშაო ადგილებს. მისი აზრით, სოციალური ბიზნესი მძლავრი იარაღია ცვლილებებისთვის და "ევროპა უნდა იყოს არა მხოლოდ მონაწილე ამ ცვლილებებისა, არამედ ევროპა უნდა იყოს ლიდერი."

სოციალური ბიზნესის ინიციატივის ფარგლებში დაგეგმილია მთელი რიგი ღონისძიებები სფეროს შემდგომი განვითარებისთვის. ინიციატივა ფარავს 11 საკითხს სამ სფეროში, ესენია: *დაფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, სოციალური მეწარმეობის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა და ტექნიკური დახმარება, და მარეგულირებელი გარემოს გაუმჯობესება.*

დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხ. ბმულზე: http://ec.europa.eu/internal_market/social_business/index_en.htm

სოციალური მეწარმეები მსოფლიო ეკონომიკის ფორუმზე

25-27 იანვარს დავოსში გაიმართა მსოფლიო ეკონომიკის 42-ე ფორუმი, რომელსაც 40 სხვადასხვა ქვეყნის მეთაურთან ერთად, Schwab-ის ფონდის დახმარებით 30 სოციალური მეწარმე დაესწრო. ფორუმი მიმდინარეობდა ახალი თემის ირგვლივ "დიდი ტრანსფორმაცია: ახალი მოდელების ფორმირება." სოციალური მეწარმეები იყვნენ მსოფლიოს ყველა კუთხიდან: ლათინური ამერიკა, აშშ, აფრიკა, ევროპა, აზია, ახლო აღმოსავლეთი და ჩრდილოეთ აფრიკა. მათი ინოვაციებით ბევრი პრობლემა გადაიჭრა და თითოეულმა მათგანმა წარმოადგინა ახალი მოდელი, რომელთაც აქვთ პოტენციალი დიდი ტრანსფორმაციისთვის.

მსოფლიო ეკონომიკის ფორუმზე ასევე ისაუბრა ნობელის ლაურეატმა პროფესორმა მუჰამედ იუნუსმა, რომელმაც განაცხადა: "ჩვენ გვჭირდება ბიზნესის იდეის გაფართოება. ფულის კეთების გარდა ბიზნესს შეუძლია იყოს პრობლემების გადამჭრელი. ჩვენ გაგვაჩნია საკმარისი ტექნოლოგია და ინოვაციური შესაძლებლობა, რომ ეს გავაკეთოთ." პროფესორ იუნუსს სჯერა, რომ ადამიანის შემოქმედებითი უნარი უზარმაზარია, მაგრამ ის არ არის სათანადოდ მიმართული პრობლემების მოსაგვარებლად. "ჩვენ ამ შესაძლებლობას ვიყენებდით ფულის საშოვნელად. ერთხელაც, როდესაც მივხვდებით ამას, პრობლემები შეიძლება შემცირდეს. თქვენ გაქვთ ძალაუფლება, გამოიყენეთ ის. თქვენ შეგიძლიათ შექმნათ საკუთარი სამყარო. ნუ იცხოვრებთ უბრალოდ არსებულ სამყაროში, მიდით და გააკეთეთ ის."
http://www.microfinancefocus.com/mffnews/yunus-discuss-social-entrepreneurship-world-economic-forum

მეტი ინფორმაციისთვის გადადით ბმულზე: http://www.weforum.org/events/world-economic-forum-annual-meeting-2012

საინტერესო ამბები

Skoll-ის ფონდმა სოციალურ მეწარმეობაში **2012** წლის გამარჯვებულები გამოავლინა

ფონდის დაარსების დღიდან ჯეფ სქოლმა გასცა $270 მილიონის ოდენობის თანხა სოციალური მეწარმეებისა და მათი ორგანიზაციების მხარდასაჭერად სხვადასხვა სფეროებში, იქნება ეს ეკონომიკური თუ საგანმანათლებლო შესაძლებლობების განვითარება, ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების შექმნა, საკვების უსაფრთხოება თუ კონფლიქტის შემდგომ სტაბილიზაციის უზრუნველყოფა.

Skoll-ის ფონდი გამარჯვებულებს აჯილდოვებს სამწლიანი გრანტით, რითაც ისინი შეძლებენ უკვე მიღწეული შთამბეჭდავი წარმატება განამტკიცონ.

2012 წლის გამარჯვებულები არიან:

- ✓ *Gawad Kalinga (www.gk1world.com) -* მუშაობს 2000 უღარიბეს თემთან ფილიპინებში და ასევე თანამშრომლობს სხვა ერებთან, სადაც სიღარიბეა - კამბოჯა, ინდონეზიას და პაპუა ახალი გვინეას ჩათვლით. ორგანიზაციის მიზანია საზოგადოების ყველა სექტორის ჩართვით და მათი მობილიზებით სიღარიბის დამარცხება. ორგანიზაცია ქმნის მოხალისეთა ჯგუფებს და სკოლებთან, კორპორაციებთან და სხვა ინსტიტუტებთან მუშაობით ხელს უწყობს ზრუნვისა და გაზიარების კულტურის ჩამოყალიბებას. Gawad Kalinga ნიშნავს "იზრუნე სხვებზე" (give care).

- ✓ *Landesa (www.landesa.org) -* 2009 წელს იგი ჩამოყალიბდა, როგორც Center for Women's Land Rights, 2010 წელს კი დაარქვეს landesa, რომელიც ორ სიტყვას "მიწა" და "ბედ-იღბალს" აკავშირებს ერთმანეთთან. იგი დაარსდა როგორც თემის განვითარების ინსტიტუტი (RDI), მუშაობს 40 განვითარებად ქვეყანაში, მთავრობასა და სხვა ორგანიზაციებთან პარტნიორობით Landesa დაეხმარა 105 მილიონ ოჯახს დაეცვათ მიწაზე საკუთრების უფლებები. 2011 წელს ისინი დაეხმარნენ 3.4 მილიონ ოჯახს მიეღოთ მიწაზე ლეგალური უფლების დოკუმენტაცია.

- ✓ *Nidan (www.landesa.org) -* ქმნის სამუშაო ადგილებს არაოფიციალური მუშებისთვის ინდოეთის ჩრდილოეთსა და აღმოსავლეთში. ქვეყნის არაოფიციალური სექტორი მოიცავს სამუშაო ძალის 93%-ს და ქმნის მთლიანი შიდა პროდუქტის 64%-ს. იგი ორგანიზებას უკეთებს მუშებს და ასაქმებს მათ სხვადასხვა კოლექტივებში. Nidan ნიშნავს "გადაჭრას".

- ✓ *Proximity Designs (www.proximitydesigns.org) -* ორგანიზაციის მიზანია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის განვითარება და მილიონობით მცირე ფერმის მქონე ოჯახებისთვის შემოსავლის გაზრდა. მიანმაში დაფუძნებული საწარმო გეგმავს, აშენებს და ბაზარზე გააქვს ხელმისაწვდომი პროდუქტები და სერვისი, რასაც სოფლის მოსახლეობა იყენებს თავიანთი ცხოვრების შესაცვლელად. ამჟამად 90 ათასზე მეტი პროდუქტია გაყიდული და 400 ათასზე მეტი ადამიანის ცხოვრება შეიცვალა.

(დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: http://www.skollfoundation.org/skoll-foundation-announces-2012-award-winners-and-their-%E2%80%9Ccitizen-driven-change%E2%80%9D/)

❖ თუ თქვენ აღარ გსურთ მიიღოთ სოციალური მეწარმეობის ელექტრონული ჟურნალის შემდეგი გამოცემები, გამოაგზავნეთ ტექსტი - "გამოწერის გაუქმება" შემდეგ მისამართზე: info@cse.ge

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით >>>

ყველა საავტორო უფლება დაცულია და ეკუთვნის "საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრს"

"ღია საზოგადოება - საქართველო" "ეკლესიის განვითარების სააგენტო"